პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 52 (3029)

1966 წ. 16 მარტი, ოთხშაბათი.

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и республиканского совета профсоюзов

გამოცემის 22-ე წელი



## მსოფლიოს ექვსგზის ჩემპიონი

აი, ისინი, ვინც ლიუბლიანის ყინულზე სჭედდა გამარჯვებას — საბჭოთა კავშირის ჰოკეისტთა ნაკრები გუნდი, მსოფლიოს ექვსგზის ჩემპიონი!

პირველ რიგში (მარცხნიდან მარჯვნივ): ვიკულოვი, ბრეჟნევი, ლოკტევი, ალმეტოვი, დავიდოვი, კონოვალენკო, მაიოროვი, ალექსანდროვი, პოლუპანოვი, ზინგერი; მეორე რიგში: იაკუშევი, კუზკინი, რაგულინი, ფირსოვი, მასაჟისტი ოვსეენკო, ექიმი ვასილიევი, იონოვი, გუნდის უფროსი კუზნეცოვი, ზაიცევი.

სურათზე არ არიან ჩვენი ჰოკეისტების მასწავლებლები, უფროსი მწვრთნელი ა. ჩერნიშევი და მწვრთნელი ა. ტარასოვი.

საკდესის ფოტოქრონიკა.

ეძღვნება სკკპ XXIII ყრილობას

## ესტაფეტა დაიძრა

ბათუმი, 15 მარტი (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). გუშინ მახარაძეში სტარტი მიეცა სკკპ XXIII ყრილობისადმი მიძღვნილ რესპუბლიკურ ესტაფეტას „შრომასა და სპორტში", რომელსაც ატარებს „განთიადის" ცენტრალური საბჭო.

სპორტსმენებმა მახარაძის ქუჩებში მოაწყეს სააგიტაციო სვლა, შეჯიბრებები სხვადასხვა სახეობაში, ხოლო დღეს გზა აიღეს ბათუმისკენ. 5 კილომეტრზე იგი მძლეოსნებმა ატარეს, მერე ხაზზე გავიდნენ ველოსიპედისტები, ქობულეთიდან კი „ბრძოლაში" ჩაებნენ მოტოციკლისტები.

ბათუმისკენ მიმავალ სპორტსმენებს გზადაგზა შეხვედრებს უწყობდნენ პლანტაციებში მომუშავე მეჩაიეები, ხოლო აჭარის დედაქალაქის მისასვლელთან გამოეგებნენ ბათუმის რაიონის ი. ჯინჭარაძის სახელობის საშუალო სკოლის მოსწავლეები.

დღის 1 საათზე ესტაფეტა მიიტანეს „განთიადის" აჭარის საოლქო კონფერენციაზე და გადასცეს გემსაშენი ქარხნის ფიზკულტურელებს, რის შემდეგ ესტაფეტის მონაწილეთა ერთი ჯგუფი ეწვია გემ „კოლხიდის" კოლექტივს. მისმა კაპიტანმა გ. გლაზნოვმა ესტაფეტას უპატაკა საყრილობო ვალდებულებათა განაღდება. სწორედ ამ გემით მოლაშქრეთა ჯგუფი ესტაფეტას ფოთში ჩაიტანს, ხოლო მეორე ჯგუფი სოხუმისკენ აიღებს გეზს.

თ. გაჩეჩილაძე.

საკდესის ინფორმაცია

## ჩვენს ძმურ რესპუბლიკებში

### მეღუმელე სპორტსმენები — ვახტზე

ამ ბრიგადაში სხვადასხვა სპეციალობის 100-ზე მეტი მუშაა, მაგრამ საამქრო, სადაც ისინი მუშაობენ, ყველას ერთი საამაყო სახელი — მეღუმელე მისცა, საერთო გატაცებამ კი ამ სახელს სიტყვა სპორტსმენი დაამატა. როცა ქარხანა „ზაპოროჟსტალის" კომუნისტური შრომის სადუმელე საამქრო სკკპ XXIII ყრილობისადმი მიძღვნილ შეჯიბრებაში ჩაება, ინჟინერ ა. ვოხნიკის ცვლას კარგი შესაძლებლობა მიეცა, ეჩვენებინა, რა შეუძლიათ სპორტსმენებს. თვითონ ა. ვოხნიკს უმაღლესი ტექნიკური განათლების გარდა დნეპროპეტროვსკის ფიზკულტურის ტექნიკუმის დამთავრების დიპლომიც აქვს და თუმცა 40 წელს გადასცდა, წარმატებით გამოდის საამქროს კალათბურთელთა და ფრენბურთელთა გუნდებში.

მეღუმელეები წარმატებით დგანან წინასაყრილობო ვახტზე. 29 მარტისთვის IV ღუმელის მუშები 2.000 ტონა ზეგეგმით თუჯს გამოუშვებენ, ხოლო XXIII ყრილობის გახსნამდე უკვე ერთი თვით ადრე ამ კოლექტივმა სამშობლოს 4.326 ტონა ზეგეგმითი პროდუქცია მისცა.

ამ დღეებში ბრიგადის კალათბურთელებმა, რომლებიც სადუმელე საამქროს ნაკრებს წარმოადგენენ, ქარხნის ზამთრის სპარტაკიადის გამარჯვებულის სახელი მოიპოვეს. ასე რომ, წინასაყრილობო დღეებში მეღუმელეებს წარმატება არ სტოვებთ.

ა. ივანოვი.

ზაპოროჟიე.

### ყრილობას უძღვნეს

ყაბარდო-ბალყარეთის მთამსვლელებმა სკკპ XXIII ყრილობას მიუძღვნეს ცენტრალური კავკასიონის ბეზინგის ხეობის ერთ-ერთი უსახელო მწვერვალის დაპყრობა. 12 მთამსვლელი სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელების ხ. ზალიხანოვისა და შ. ტენიშევის ხელმძღვანელობით ზამთრის რთულ პირობებში ოთხი დღის განმავლობაში ებრძოდა 4 კილომეტრის სიმაღლის მწვერვალს.

მწვერვალის თავზე მამაცმა სპორტსმენებმა აღმართეს ჩვენი ქვეყნის ალამი, დადგეს ვ. ი. ლენინის პორტრეტი და დატოვეს გაზეთი, რომელშიც სკკპ XXIII ყრილობის დირექტივებია დაბეჭდილი.

პ. იგონინი.

ნალჩიკი.

### სპარტაკიადა ერთ წელიწადს გაგრძელდება

მთელ წელს გასტანს მოლდავეთის IV სპარტაკიადა, რომელმაც სტარტი საწარმოთა, კოლმეურნეობათა და საბჭოთა მეურნეობათა ფიზკულტურულ კოლექტივებში აიღო. რესპუბლიკის სპორტის ისტორიაში ეს სპარტაკიადა ყველაზე მასობრივი შეჯიბრება იქნება. მასში მონაწილეობას მიიღებს ნახევარ მილიონზე მეტი კაცი. სპარტაკიადის პროგრამაში შედის 23 სახეობა. ასპარეზობა გამოავლენს საუკეთესო სპორტსმენებს, რომლებიც სსრ კავშირის ხალხთა საიუბილეო სპარტაკიადაზე რესპუბლიკის ეროვნული გუნდების შემადგენლობაში გამოვლენ. ეს ერთი წელი იქნება, აგრეთვე, სპორტულ ნაგებობათა ინტენსიური მშენებლობის პერიოდი. გადაწყვეტილია რაიონულ ცენტრებში, სოფლებსა და საწარმოებთან აიგოს ათობით სტადიონი და სათამაშო მოედანი. კიშინიოვის სპორტსმენები წლეულს მიიღებენ დახურულ საცურაო აუზს და დიდ სპორტულ კომპლექსს პროფტექნიკური განათლების სასწავლებელთა ფიზკულტურელებისთვის. განზრახულია მძლეოსნური მანეჟის მშენებლობაც.

რ. ტრუსოვი.

კიშინიოვი.

### ტურისტული ალმა-ათა

სტუმართმოყვარე ალმა-ათა სულ უფრო მეტ ტურისტს უღებს კარს. ტიან-შანის ჩრდილოეთ ფერდობზე, ერთ-ერთ ლამაზ ხეობაში დაიწყო ახალი ტურისტული ბაზის — „ედელვეისის" მშენებლობა. საუკუნოვანი ნაძვებით შემოჯარულ, დათოვლილ ფართო მინდორზე შენდება ორსართულიანი საცხოვრებელი კორპუსები. ბაზა მთელი წლის განმავლობაში იმუშავებს და ერთდროულად 300 კაცს მიიღებს.

გ. სმეტანიკოვი.

ალმა-ათა.

გუშინ

## იმედიანი სტარტი

### საქართველოს XXVII საჭადრაკო ჩემპიონატი

ამბობენ: ტურნირში წარმატებას კარგი სტარტი განაპირობებსო. ეს თუ ასეა, მაშინ ჩვენს მოწინავე მოჭადრაკეებს გუშინდელი ტურის სამდურავი არ ეთქმით.

პირველი შედეგი, პირველი გამარჯვება ფიქსირებულ იქნა გურგენიძე—გვენცაძის შეხვედრაში. ქართველ მოჭადრაკეთა ლიდერმა ყველას აგრძნობინა, რომ ამ შეჯიბრებაშიც შეეცდება არავის დაუთმოს პოზიციები. რაც შეეხება თვით პარტიას, იგი უაღრესად დაძაბულად მიმდინარეობდა. ამბროლაურელი მოჭადრაკე შეუპოვრად თამაშობდა, მაგრამ ბოლოს მოთმინებამ უღალატა. მან მცდარი კომბინაცია წამოიწყო, რომელმაც მახეში გააბა... მისი ავტორი.

არც ჯინჯიხაშვილი ჩამორჩა უფროს კოლეგას. მან ისეთი ენერგიით დალაშქრა ჩხაიძის მეფის პოზიცია, რომ უკვე 28-ე სვლაზე თეთრწყაროელმა მოჭადრაკემ ფარ-ხმალი დაჰყარა. გაიმარჯვა ლომაიამაც. მაგრამ მას დიდხანს უსიამოვნო პოზიცია ჰქონდა. უპირატესობის განაღდებისთვის კერნოჟიცკის უბრალოდ გამოცდილება არ ეყო.

აცანელმა თოხაძემ (ლანჩხუთის რაიონი) დიდი წინააღმდეგობა გაუწია ბოკუჩავას. ახალგაზრდა ოსტატს იქნებ ეგონა იოლად დასძლევდა სოფლის მოჭადრაკეს, მაგრამ შეცდა.

— ბოკუჩავამ ალბათ არ იცის, რომ თოხაძე და მე ერთად ჯერ კიდევ ომამდე ვთამაშობდით ჭადრაკს უნივერსიტეტში, — თქვა ოსტატის აღმზრდელმა ვ. ქარსელაძემ. — უოფლოდ მას ვერავინ მოუგებს.

... და ვერც ბოკუჩავამ მოუგო. შეხვედრა ყაიმით დასრულდა.

დანარჩენი პარტიები გადაიდო.

სტარტი საინტერესო ბრძოლებს გვპირდება...

თ. გიორგაძე.

## X ტურში

შედგა თბილისის ქალთა საჭადრაკო ჩემპიონატის X ტური. ხუბულურმა მოუგო კობაიძეს, ხოლო მანველოვა — გედენიძისა და სარაიდაროვა — პილცერის პარტიები ყაიმით დამთავრდა. დანარჩენი შეხვედრები გადაიდო. 10 ტურის შემდეგ წინ არიან ნ. ჩიქოვანი (6,5 ქულა და 2 გადადებული პარტია) და ნ. ხუბულური (6,5).

## 2 ბურთით წინ იყვნენ სტუმრები

გაიმართა წყალბურთელთა თბილისის ტურნირის მორიგი მატჩები. თბილისის „დინამო" შეხვდა ვოლგოგრადის „სპარტაკს". ნუ იფიქრებთ, რომ ასპარეზობა თავიდანვე წარიმართა უფრო გამოცდილი მასპინძლების უპირატესობით. პირიქით, პირველ პერიოდში სპარტაკელებმა შეძლეს 2 ბურთით დაწინაურება. მხოლოდ ამის შემდეგ მთელი ძალით ამოქმედდა „დინამო". ჯერ ო. მიმინოშვილმა 4-მეტრიანი საჯარიმო დარტყმით, ხოლო შემდეგ ი. სხირტლაძემ წონასწორობა აღადგინეს. თამაშის ბოლომდე კიდევ ორჯერ შეირხა ვოლგოგრადელთა კარის ბადე. ეს გააკეთეს ლ. გიორგაძემ და ბ. მეგედმა. გაიმარჯვა „დინამომ" — 4:2. ლენინგრადის „სპარტაკმა" დაამარცხა თბილისის „დინამო" I — 3:2.

## 25 მილიონის სპარტაკიადა

საკდესი მოგვითხრობს

25 მილიონი სპორტსმენი მონაწილეობდა სპორტის ტექნიკურ სახეობებში III საკავშირო სპარტაკიადაში, რომლის მსაჯთა მთავარმა კოლეგიამ შეაჯამა კიდეც შედეგები: 25 მილიონზე მეტმა შეასრულა პათანრიგო მოთხოვნები, ხოლო მათ შორის 2 ათასი კაცი სპორტის ოსტატი გახდა. მოტოდრომებზე, აეროდრომებზე, საწყლოსნო სადგურებსა და საკროსო დისტანციებზე ასპარეზობისას დამყარდა 246 საკავშირო რეკორდი, რომელთაგან 144 მსოფლიო მიღწევას აღემატება.

სპორტის ტექნიკურ სახეობებში მასობრიობის მაღალი მაჩვენებლების, ფინალურ შეჯიბრებებში მოპოვებული შედეგებისა და სპორტსმენ-თანრიგოსანთა მომზადებაში მაღალი მიღწევებისთვის I ადგილზე გავიდა მოსკოვის დოსააფის კოლექტივი. მას გადაეცა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს გარდამავალი პრიზი.

სსრ კავშირის ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი პრიზი მიეკუთვნათ II ადგილზე გასულ რსფსრ-ს დოსააფის სპორტსმენებს, ხოლო III ადგილი და დოსააფის ცენტრალური კომიტეტის პრიზი — ლენინგრადის კოლექტივს. საუკეთესოთა ექვსეულში მოხვდნენ აგრეთვე უკრაინის, ბელორუსიისა და ესტონეთის წარმომადგენლები. საკავშირო პროფსაბჭოს სპეციალური პრიზი შეჯიბრების მასობრიობისთვის მიეკუთვნათ სომხეთის სპორტსმენებს.

რსფსრ-ს სპარტაკიადაში გაიმარჯვეს როსტოვის ოლქის დოსააფის სპორტსმენებმა, რომლებმაც დაიმსახურეს რსფსრ-ს მინისტრთა საბჭოს გარდამავალი პრიზი. შემდგომ ადგილებზე არიან მოსკოვისა და ნოვოსიბირსკის ოლქები, კრასნოდარის მხრის, სვერდლოვსკის ოლქისა და თათრეთის დოსააფელები.

ამჟამად სპორტის ტექნიკური სახეობის წარმომადგენლებს ახალი გამოცდაელით. 1966-67 წლებში ისინი პირველად მიიღებენ მონაწილეობას სსრ კავშირის ხალხთა IV საიუბილეო სპარტაკიადაში, რომელიც დიდი ოქტომბრის 50 წლისთავს ეძღვნება.



# მეჩაიე სპორტსმენი

ელენე ბერდინოვას ზუგდიდის რაიონის ონარიის ჩაის საბჭოთა მეურნეობაში მუყაით მშრომელად იცნობენ. შარშან მან სახელმწიფოს 5.000 კგ ჩაის მწვანე ფოთოლი ჩააბარა. გამრჯე ქალიშვილი მარტო შრომაში როდია მოწინავე, იგი კარგი ველოსიპედისტიცაა. ყოველდღიურმა მონდომებულმა ვარჯიშმა ნაყოფი გამოიღო: ე. ბერდინოვა „კოლმეურნის" ცენტრალური საბჭოს ნაკრების შემადგენლობაში შეიყვანეს.

* * *

სურათზე: ე. ბერდინოვა ჩაის პლანტაციაზე მუშაობისას და ვარჯიშზე.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

(ჩვენი სპეც. კორ.).

[illegible]

**სამტრედია**

დიდი ჯიხაიშის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის სპორტსმენებს ესტუმრნენ ქუთაისის სატყეო ტექნიკუმის ფრენბურთელები და მოჭიდავენი. დიდჯიხაიშელებმა სტუმრები ფრენბურთშიც დაამარცხეს და ქართულ ჭიდაობაშიც.

გ. მოდებაძე.

**ხობი**

მოსწავლეთა რაიონული სპარტაკიადის პროგრამით ახლახან აქ გაიმართა ასპარეზობანი ფეხბურთსა და ფრენბურთში საშუალო და 8-წლიანი სკოლების გუნდებს შორის. სპორტის ორივე სახეობაში პირველობა არავის დაუთმეს ხობის 1-ლი საშუალო სკოლის ნორჩებმა.

ხ. არჯევანიძე.

**ლენინგორი**

13 მოჭადრაკე მონაწილეობდა დაბის პირველობაში. უძლიერესის სახელი მოიხვეჭა ადგილობრივი საავტომობილო გარაჟის უფროსმა გ. მღებროვმა (11,5 ქულა). ტურნირის მონაწილეთათვის დაწესებული იყო 3 სპეციალური ჯილდო. პირველ ხუთ ტურში წაუგებლად თამაშისთვის ლენინგორის კომკავშირის რაიკომის ჯილდო გადაეცა მ. მარგიევს, ყველაზე ლამაზი კომბინაციისთვის გაზეთ „ლენინელის" რედაქციის ჯილდო — რ. ოვაშვილს, ხოლო შავებით ყველაზე მეტი მოგებისთვის ლენინგორის კულტსახლის ჯილდო — ნ. მზარეულოვს.

ა. მარგიევი.



## რესპუბლიკური ფედერაციების პლენუმებზე

# საქმიანი საუბარი

გაიმართა ველოსპორტის რესპუბლიკური ფედერაციის პლენუმი.

საანგარიშო მოხსენებით გამოვიდა საქართველოს ველოსპორტის ფედერაციის თავმჯდომარე მ. ბარამია. კამათში გამოსულმა ამხანაგებმა ილაპარაკეს ქართული ველოსპორტის საჭირბოროტო საკითხებზე და დასახეს სამერმისო ამოცანები.

პლენუმმა აირჩია ფედერაციის ახალი ხელმძღვანელობა: თავმჯდომარე მ. ბარამია, პასუხისმგებელი მდივანი ჯ. ზანდუკელი, მწვრთნელთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ხაბურზანია, მსაჯთა კოლეგიის თავმჯდომარე გ. თელია.

აი, რა ითქვა პლენუმზე:

მ. ბარამია: საქართველოს ველოსპორტის წარმატებები საანგარიშო პერიოდში (1964-65 წ.წ.) მეტწილად მსოფლიო ჩემპიონის ო. ფხაკაძის სახელთანაა დაკავშირებული. შეიძლება დავასახელოთ კიდევ რამდენიმე სპორტსმენი, რომელთაც შარშან მაღალ შედეგებს მიაღწიეს. მაგრამ, სამწუხაროდ, მათი რიცხვი ძალიან მცირეა — ო. პროკოპენკო და ი. კავსაძე (სსრ კავშირის ჩემპიონები სალიდერო რბოლაში) და ვ. ფეტისოვი (სსრ კავშირის სამგზის ჩემპიონი იუნიორთა შორის). ეს არის და ეს. რესპუბლიკის ველოსიპედისტთა მრავალათასიანი არმიის მიღწევები, თუ შეიძლება ითქვას, ამოიწურა.

მაგრამ აბა გადავხედოთ თანრიგოსან ველოსიპედისტთა მომზადების გეგმებს. აქ თითქოს ყველაფერი რიგზეა. რესპუბლიკა წლიდან წლამდე ასრულებს დავალებებს და ზოგჯერ გადაჭარბებითაც. ბოლო ორ წელიწადში საქართველოში თურმე 28 სპორტის ოსტატი მომზადდა. იბადება კითხვა: სად არიან ეს ოსტატები? რატომ ვერ გამოიჩინეს თავი ვერც ერთ მნიშვნელოვან შეჯიბრებაში? როგორც ჩანს, მათი მომზადების დონე ოდნავადაც არ აკმაყოფილებს თანამედროვე ველოსპორტის მოთხოვნებს. საბუთი? ინებეთ. შარშან ჩვენმა გუნდმა საკავშირო ჩემპიონატში XIII ადგილი დაიკავა გზატკეცილზე და X — ტრეკზე. ასეთი დაბალი მაჩვენებლების მისაღწევად სრულებით არ იყო საჭირო 28 სპორტის ოსტატის მომზადება.

ვ. ჯორბენაძე (აფხაზეთი): სპორტსაზოგადოებათა რესპუბლიკური და ცენტრალური საბჭოები სათანადო ყურადღებას არ უთმობენ ველოსპორტის განვითარებას რაიონებში. აფხაზეთში ველოსიპედისტთა მხოლოდ 2 ჯგუფი ჰყავს „განთიადს" და „კოლმეურნეს". დანარჩენი სპორტსაზოგადოებები კი არ იყენებენ წვრთნისთვის შესანიშნავ კლიმატურ პირობებს. მწუხარებით უნდა აღვნიშნოთ, რომ სექცია გაუქმდა სოხუმის პედინსტიტუტში, სადაც ველოსპორტი მუდამ პოპულარობით სარგებლობდა.

**ველოსპორტი**

მ. კირაკოსიანი (აჭარა): ანალოგიური მდგომარეობაა აჭარაშიც. „ლოკომოტივი" და „განთიადი" ბათუმში რატომღაც არ ხსნიან ჯგუფებს. ერთ დროს ჩვენს ქალაქს ჰქონდა ტრეკი, რომელიც შემდეგ ზღვისპირა ზონის კეთილმოწყობამ იმსხვერპლა. ახალი ტრეკი დიდად წასწევდა წინ ჩვენში ველოსპორტის განვითარებას, მითუმეტეს, რომ ბათუმში სრულწლიური წვრთნის ყველა პირობა არსებობს.

მ. მეფისაშვილი (ქუთაისი): ველოსპორტის რესპუბლიკური ფედერაცია მეტი გულისყურით უნდა მოეკიდოს რაიონებში მსაჯთა მომზადების საკითხს. ჩვენი აზრით, რესპუბლიკურ შეჯიბრებებს რაიონების მსაჯებიც უნდა სჯიდნენ, ამისათვის კი საჭიროა მათთვის სემინარების მოწყობა.

ა. ხაბურზანია (თბილისი): თბილისში ძალიან გართულდა საგზატკეცილო ველოსიპედისტთა წვრთნა. ეს არც არის გასაკვირი, ვინაიდან ჩვენი დედაქალაქის მაგისტრალები ბოლო წლებში ერთი-ორად გადაიტვირთა. ჩვენი აზრით, მუშაობის მთელი სიმძიმე უნდა გადავიტანოთ რაიონებზე, სადაც გზატკეცილები შედარებით განტვირთულია.

ა. გუნია (საგზატკეცილო ველოსიპედისტთა საქართველოს ნაკრები გუნდის უფროსი მწვრთნელი): სსრ კავშირის ხალხთა IV სპარტაკიადაში წარმატება ბევრადაა დამოკიდებული მრავალდღიან ველორბოლაზე. ამიტომ აქედანვე სერიოზულად უნდა მოვემზადოთ რესპუბლიკური შეჯიბრებისთვის, რომელიც მაისში გაიმართება. საქართველოს მრავალდღიანი ველორბოლის შედეგები ნაკრების დაკომპლექტებისა და კანდიდატთა შერჩევის საშუალებას მოგვცემს.

მ. ახატიანი (საქართველოს ფიზკულტურის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი): თანამედროვე ველოსპორტში წვრთნის ეფექტურობას მეტწილად მეცნიერული მონაცემების ანალიზი და გამოყენება განსაზღვრავს. ამიტომ, ჩვენი წამყვანი მწვრთნელები ყველა თეორიული სიახლის კურსში უნდა იყვნენ და აქედან გამომდინარე, მჭიდრო კონტაქტი იქონიონ სამეცნიერო დაწესებულებებთან.

ი. სტეპანოვი (თბილისი): ნუ გადავაქცევთ რესპუბლიკურ სპორტულ ღონისძიებათა კალენდარს დოგმად. თბილისში შესანიშნავი ამინდებია და საზოგადოებრივ საწყისებზე ათასგვარი შეჯიბრების მოწყობა შეიძლება...

* * *

ორატორებმა ყურადღება გაამახვილეს სსრ კავშირის ხალხთა IV სპარტაკიადისთვის სამზადისის გეგმაზომიერად ჩატარებაზე.

პლენუმმა საქართველოს ველოსპორტის ფედერაციის მუშაობა საანგარიშო პერიოდში დამაკმაყოფილებლად შეაფასა.

# ნაკლოვანებათა მხილების ნიშნით

ამას წინათ თბილისში გაიმართა ძალოსნობის რესპუბლიკური ფედერაციის პლენუმი. საანგარიშო მოხსენებით გამოვიდა ფედერაციის თავმჯდომარე დ. ნიკურაძე. მან აღნიშნა, რომ საანგარიშო პერიოდში (1964-1965 წ.წ.) რესპუბლიკის ძალოსნებმა 9 საკავშირო და საერთაშორისო შეჯიბრებაში მიიღეს მონაწილეობა. მომზადებულია 23 სპორტის ოსტატი, გეგმა კი 14-ს ითვალისწინებდა. რესპუბლიკის ძალოსანთა მოწინავე რაზმი თავის რიგებში ითვლის ხუთ სპორტის დამსახურებულ ოსტატს, 63 სპორტის ოსტატს, 199 ოსტატობის კანდიდატსა და პირველთანრიგოსანს; მუშაობს 641 საზოგადოებრივი ინსტრუქტორი და 579 მსაჯი. მომხსენებელმა ცალკე მოიხსენია გ. კოჩიევი და ა. ჯეჯელავა, რომელთაც 1965-1966 წლებში საკავშირო რეკორდები დაამყარეს.

— მაგრამ ამ წარმატებათა გვერდით, — თქვა დ. ნიკურაძემ, — არ შეიძლება არ აღინიშნოს ის სერიოზული ნაკლოვანებანი და ხარვეზები, რაც ჯერ კიდევ გვაქვს ჩვენს მუშაობაში. ფედერაციამ ვერ ჩააბა ახალგაზრდობის ფართო მასები ძალოსნობაში, ნაკლები ყურადღება ექცეოდა წამყვან სპორტსმენებთან მუშაობას და მათი წვრთნის პირობებს, სათანადო დახმარებას ვერ ვუწევდით რესპუბლიკის რაიონების ძალოსნებს. რიგ შემთხვევებში მწვრთნელებად არასპეციალისტები მუშაობენ. უთუოდ ნაკლად უნდა ჩაითვალოს, რომ საანგარიშო პერიოდში არ გვქონდა კონტაქტი სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტთან, არ ჩატარებულა ერთობლივი ღონისძიებები ძალოსანთა კლასის ასამაღლებლად, მოისუსტებდა სპორტბაზების მშენებლობისა და კეთილმოწყობის საქმე, არ ჩამოყალიბებულა ბავშვთა ჯგუფები, დაბალ დონეზე ტარდებოდა რესპუბლიკური და რაიონული შეჯიბრებები, მოიკოჭლებდა მსაჯების კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსების მუშაობა, არ ჩატარებულა მსაჯთა სემინარები, ქართულ ენაზე არ გამოცემულა შეჯიბრების წესები, მსოფლიოსა და სსრ კავშირის ჩემპიონთა შორის ჯერ კიდევ ვერ ვხედავთ ჩვენი რესპუბლიკის ძალოსნებს.

**ძალოსნობა**

— ამ ხარვეზების აღმოუფხვრელად, — თქვა დასასრულ მომხსენებელმა, — ძნელია მივაღწიოთ ჩვენს რესპუბლიკაში ძალოსნობის ნამდვილ ზრდასა და განვითარებას.

თანამოხსენებებით გამოვიდნენ მწვრთნელთა საბჭოს თავმჯდომარე დ. კაპცოვი და მსაჯთა კოლეგიის პრეზიდიუმის თავმჯდომარე კ. ზაუტაშვილი.

კამათში მონაწილეობა მიიღეს შ. ბუაძემ, ი. მჟავანაძემ, ვ. შავიშვილმა, რ. ხუროძემ, რ. საამოვმა, გ. კოშაძემ, გ. ბალასანიანმა.

ძალოსნობის რესპუბლიკური ფედერაციის თავმჯდომარედ კვლავ დ. ნიკურაძე აირჩიეს. არჩეულ იქნა, აგრეთვე, ძალოსნობის რესპუბლიკური ფედერაციის პრეზიდიუმი, მწვრთნელთა საბჭო და მსაჯთა კოლეგია.

პლენუმმა მიიღო სათანადო დადგენილება.

## აქედანვე ვემზადოთ სსრ კავშირის ხალხთა IV საიუბილეო სპარტაკიადისათვის

# ეს თუ უძლიერესთა შეჯიბრებაა!..

საქართველოს სპორტკავშირის დახურულ აუზში ორ დღეს გრძელდებოდა თბილისის უძლიერეს მოცურავეთა პირადი პირველობა. ახლა, როცა წინ გვაქვს სსრ კავშირის ხალხთა IV საიუბილეო სპარტაკიადა, გუნდების სამზადისი განსაკუთრებით ინტენსიური უნდა იყოს. მაგრამ, სამწუხაროდ, ტურნირმა ამ მხრივ სანუგეშო ვერაფერი გვაჩვენა, დაფიქრებით კი ძალიან დაგვაფიქრა. დავიწყოთ თუნდაც იმით, რომ, მაგალითად, „ბურევესტნიკმა" და „სპარტაკმა" ტურნირზე ვერც ერთი მოცურავე ვერ გამოიყვანეს, „განთიადმა" და არმიელთა სპორტკლუბმა კი თითო-ოროლა სპორტსმენი გამოგზავნეს. შეჯიბრება, ფაქტიურად, „დინამოს", „შრომითი რეზერვებისა" და განათლების განყოფილების სპორტსმენთა მატჩად გადაიქცა.

ვაი, რომ ამ 3 ორგანიზაციის მოცურავეთა სიძლიერეც ეფემერულია. სტარტზე გასული 45 სპორტსმენიდან სპორტის ოსტატის შედეგი ვერავინ აჩვენა. უფრო მეტიც. ა. იოაკიმიდი („დინამო") ერთადერთი იყო, ვინც ოსტატობის კანდიდატის ნორმატივი შეასრულა. 6 ვაჟი ძლივს შეწვდა I თანრიგის მაჩვენებელს, ოსტატი ქალები კი მხოლოდ II თანრიგით დაკმაყოფილდნენ. და ეს მაშინ, როცა მოცურავეებს ფართო ასპარეზი ჰქონდათ — შეჯიბრება „სამჭიდში" ჩატარდა და მონაწილეებს ძალა 50 და 200 მეტრზე ნებისმიერი სტილითა და 400 მეტრზე კომპლექსურ ცურვაში უნდა ეცადათ. გამარჯვებული ამ სამ სახეობაში მოპოვებული ქულების საუკეთესო ჯამის მიხედვით ვლინდებოდა.

სამწუხაროა, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ მთელი რიგი გაცურვების სტარტზე მხოლოდ 3, 2 და... 1 მონაწილეც კი გამოვიდა. მაგალითად, ბატერფლაით 200 მეტრზე ცურვაში ნ. ქიგალიოვა („დინამო") მხოლოდ წამზომს „ებრძოდა". 2-2 სპორტსმენი ასპარეზობდა 50 და 200 მეტრზე ბრასით, ბატერფლაით 50 მეტრზე ქალთა და 200 მეტრზე ვაჟთა ცურვაში.

ბევრმა თავი აარიდა შეჯიბრებას. ტურნირის მესამე დღეს, როცა ასპარეზი საერთო ფიზმომზადებას დაეთმო, „შრომითი რეზერვების" მოცურავეებმა (უფროსი მწვრთნელი თ. იორდანიშვილი) მოსვლაც არ ისურვეს.

მეტად უთანაბრო იყო მეტოქეთა ფიზიკური და ტექნიკური მომზადების დონეც. დამაკმაყოფილებლად გამოვიდნენ მხოლოდ ისინი, ვინც ადრე გულმოდგინედ ვარჯიშობდა და „კომსომოლსკაია პრავდის" პრიზის გათამაშებაშიც მონაწილეობდა. სამჭიდში გამარჯვებისთვის ბრძოლაც მათ შორის გაიმართა. ვაჟებში აშკარა იყო ა. იოაკიმიდის (2471 ქულა) უპირატესობა, ქალებში ნ. ჭუმბაძემ მხოლოდ 1 ქულით აჯობა ნ. ქიგალიოვას, რომელმაც 1773 ქულა მოაგროვა.

ვფიქრობთ, მწვრთნელები ამ ტურნირის შედეგებიდან სათანადო დასკვნებს გააკეთებენ და სსრ კავშირის ხალხთა IV სპარტაკიადამდე დარჩენილ დროს მაქსიმალურად გამოიყენებენ. თბილისელმა მოცურავეებმა ბოლოსდაბოლოს უნდა მიაღწიონ, რომ ყველა სტილით ყველა დისტანციაზე ცურვაში 1-2 სპორტსმენი მაინც აჩვენებდეს მაღალ შედეგს.

ო. გელაშვილი.

### მატჩი ერევანში

ერევნის სპორტკავშირის მიწვევით სომხეთის დედაქალაქს ჩავიდა თბილისის „დინამოს" რეგბისტთა გუნდი, რომელმაც 13 მარტს „სპარტაკის" სტადიონზე მოაწყო ამხანაგური მატჩი ადგილობრივ თანაკლუბელებთან.

80 წუთის განმავლობაში აშკარა იყო სტუმართა უპირატესობა, რაც ანგარიშშიც გამოიხატა — 42:20.

ე. ქებაძე.

### „ლელოს" წერილის კვალდაკვალ

# „სტადიონია თუ სანაგვე ადგილი?!"

ამ სათაურით ჩვენი გაზეთის 5 თებერვლის ნომერში დაბეჭდილ წერილში ლაპარაკი იყო იმის შესახებ, რომ დაბა ასპინძაში ფეხბურთის ერთადერთი სტადიონი იქაურმა მცხოვრებლებმა ხანაგვე ადგილად აქციეს.

როგორც საქართველოს კომპარტიის ასპინძის რაიკომის მდივანი ლ. ისაკაძე გვატყობინებს, წერილში მოყვანილი ფაქტი დადასტურდა.

ამჟამად სტადიონი დასუფთავებული და გაწმენდილია. უახლოეს დროში დაიწყება მისი კეთილმოწყობა — შემოღობვა, ფეხბურთისა და ფრენბურთის მოედნების გაკეთება, დასაჯდომი ადგილების გამართვა და სხვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ბათუმის ქალთა IV სპარტაკიადაში თავი ისახელა მანქანათმშენებელი ქარხნის მოშაშეთა გუნდმა, რომელმაც ჩემპიონის სახელი დაისაკუთრა.

სურათზე: გამარჯვებული კოლექტივი (მარცხნიდან) — ნ. კეშეუმაძე, ე. ბერიძე და ი. რუხაძე (დგას).

ფოტო პ. ქებაბჩიანისა.

გამოხმაურებით ვ. მდივნის წერილს „შედეგები, პრობლემები...“

# გულშემატკივრების მონაწილეობით

რესპუბლიკის საფეხბურთო წრეებში დიდი ინტერესი გამოიწვია დისკუსიამ, რომელიც გაიმართა „ლელოს“ ფურცლებზე გამოქვეყნებული ვ. მდივნის სტატიის გარშემო. ზემოაღნიშნული წერილის დაბეჭდვისას რედაქციამ სთხოვა ფეხბურთის სპეციალისტებს გამოეთქვათ თავიანთი მოსაზრებანი, წამოეყენებინათ პრაქტიკული წინადადებანი, რომლებიც ხელს შეუწყობდნენ ქართული ფეხბურთის შემდგომ განვითარებას.

დისკუსიაში მონაწილეობა მიიღეს სპორტის დამსახურებულმა ოსტატებმა გ. კაჩალინმა, ა. გალპერინმა, სსრ კავშირის დამსახურებულმა მწვრთნელმა ნ. ჩხატარაშვილმა, თბილისის „დინამოს“ უფროსმა მწვრთნელმა ა. კოტრიკაძემ, თბილისის საექიმო ფიზკულტურის დისპანსერის მთავარმა ექიმმა ზ. თელიამ. მაგრამ, როგორც ეს მოსალოდნელი იყო, კამათში მონაწილეობა მიიღეს არა მარტო სპეციალისტებმა, რომლებიც თავიანთი პროფესიული საქმიანობით არიან დაკავშირებული სპორტის ამ სახეობასთან, არამედ მოყვარულებმაც, გულშემატკივრებმაც. ბუნებრივია, რომ წერილში წამოჭრილი დიდმნიშვნელოვანი პრობლემები არ დარჩა ფართო სპორტული საზოგადოებრივი წრეების ყურადღების მიღმა.

მოკამათეთაგან ზოგი ეთანხმება ვ. მდივანს, ზოგი — მის ოპონენტებს, მაგრამ არ შეიძლება მათი დაყოფა ასეთ ორ მოწინააღმდეგე, „მტრულ“ ბანაკად. ყველას აწუხებს ერთი, კეთილშობილური მიზანი — ეროვნული ფეხბურთის მომავალი, მისი ახალი გამარჯვებები.

ფეხბურთის მოყვარული ზ. ჯინჭარაძე (თბილისი) უმეტეს საკითხებში ეთანხმება ვ. მდივანს და განსაკუთრებით ემხრობა მას დატვირთვათა გაზრდის აუცილებლობაში. „საერთაშორისო საფეხბურთო ლიტერატურიდან ცნობილია, — წერს იგი, — რომ მსოფლიოს გამოჩენილმა მოთამაშეებმა თავიანთ მაღალ ოსტატობას მიაღწიეს მხოლოდ უკიდურესად შრომატევადი, დიდი მუშაობის შედეგად. ისინი მთელ თავიანთ დროს ვარჯიშს უთმობდნენ და ამიტომ გახდნენ დიდი ოსტატები. მაშ, რატომ უნდა ეშინოდეთ ასეთი დატვირთვებისა ჩვენს ფეხბურთელებს? აშკარად არაა სწორი ექიმი ზ. თელია, რომელიც გაზრდილ დატვირთვათა წინააღმდეგია!?“

საწვრთნელი საათების გაზრდის მომხრეა მკითხველთა უმეტესობა. მაგალითად, კ. სიხარულიძეს (სოფ. ქვედა ბახვი, მახარაძის რაიონი) სანიმუშოდ მოჰყავს პელე, დიდი, დი სტეფანო და სხვა გამოჩენილი ფეხბურთელები, რომლებიც დღეში 6–8 საათს ვარჯიშობენ, მტკიცედ იცავენ რეჟიმს და სწორედ ამიტომაა მათი ხელოვნება აყვანილი ასეთ სიმაღლეზე. ეს მაგალითი უნდა გადმოიღოს ყველამ, ვისაც სურს კარგად ითამაშოს ფეხბურთი. კ. სიხარულიძეს უსწოროდ მიაჩნია ის დებულება, რომ თბილისის „დინამოს“ დაბალ შედეგებზე უარყოფითი გავლენა მოახდინა ხანგრძლივმა შესვენებამ კალენდარში. ასეთი შესვენება სხვებსაც ჰქონდათ, მაგრამ მათ ნაყოფიერად გამოიყენეს იგი, ჩვენებმა კი — ვერა.

გულშემატკივარი ი. კოკუაშვილი (ქუთაისი) საგანგებოდ ამახვილებს ყურადღებას მწვრთნელთა ეროვნული კადრების აღზრდის აუცილებლობაზე. „სასაცილოა იმის მტკიცება, — ამბობს იგი, — რომ ისეთი მდიდარი საფეხბურთო ტრადიციების ქვეყანაში, როგორიც საქართველოა, არ იყვნენ მაღალი კვალიფიკაციის მწვრთნელები და აღმზრდელები. მაგრამ ისინი ხშირად ჩრდილში გვყავს მიჩქმალული და სპეციალისტებს ვეძებთ სხვაგან. ამ საკითხს სრული პასუხისმგებლობით უნდა მივდგომა. მოწვეული კაცი, ასეა თუ ისე, მაინც უკან დაბრუნებაზე ფიქრობს, ჩვენი კი — ბოლომდე ეროვნული ფეხბურთის ინტერესებით არსებობს, უკეთ იცნობს მის ბუნებას. ამას გარდა, სასტიკი ბრძოლა უნდა გამოვუცხადოთ სპორტული რეჟიმის დამრღვევთ, უდისციპლინოებს და აღარ შევცვალოთ მათ მიმართ მიღებული მკაცრი ზომები“.

სამართლიანად აღნიშნავს თბილისის უნივერსიტეტის სტუდენტი ე. ზენაიშვილი, რომ რესპუბლიკურ შეჯიბრებებს ჩვენში არ გააჩნია ის მიზანსწრაფვა, რომელიც უნდა ჰქონდეს. რა ფასი აქვთ მათ, თუ ეს ღონისძიებანი არ ემსახურა ახალგაზრდა, პერსპექტიული ფეხბურთელების გამოვლინებისა და აღზრდის საქმეს. ჩვენი ქალაქებისა თუ რაიონების გუნდები დღენიადაგ იმაზე ფიქრობენ, როგორმე ქულები მოიპოვონ და გაუსწრონ მეზობლებს. სხვა, გაცილებით უფრო დიდმნიშვნელოვანი საკითხები, კერძოდ, ახალი თაობის აღზრდა, სრულიად უყურადღებოდ აქვთ მიტოვებული. სად, თუ არა აქედან უნდა მიიღოს დიდმა ფეხბურთმა შევსება? საქართველოს პირველობაში მონაწილე ყოველი გუნდის მწვრთნელს თავის საპატიო და უპირველეს ამოცანად უნდა ჰქონდეს დასახული მომავალი ოსტატების აღზრდა.

ეს საკითხი აწუხებს ფეხბურთის მოყვარულთა დიდ ჯგუფს. წულუკიძის სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და ელექტროფიკაციის ტექნიკუმის ფიზაღზრდის უფროსი მასწავლებელი ბ. ქუთათელაძე აღნიშნავს, რომ რესპუბლიკურ ჩემპიონატში მონაწილე გუნდების წევრთა შორის უმეტესად ვხვდებით მოთამაშეებს, რომლებმაც დიდი ხანია გადააბიჯეს საფეხბურთო ასაკს და მოკლებული არიან ყოველგვარ პერსპექტივას. დიდი ფეხბურთის შევსებას მათი რიცხვიდან ვერ მივიღებთ, ისინი მხოლოდ საკუთარი ინტერესებისთვის თამაშობენ. ჩვენ კი ახალი ტალანტები გვესაჭიროება.

საგულისხმოა მთელ რიგ მკითხველთა წინადადება რესპუბლიკურ ჩემპიონატში მონაწილე გუნდების, მათი მწვრთნელებისა და ფეხბურთელთა წასახალისებლად დაინიშნოს პრიზები საუკეთესო მეკარის შედეგიანი თავდამსხმელის, კორექტული კოლექტივისთვის და ა. შ. ყოველი გათამაშების შემდეგ გამოქვეყნდეს 33 საუკეთესო მოთამაშის სია.

ბავშვთა შორის მუშაობის გაუმჯობესებაზე ლაპარაკობს თავის წერილში თბილისელი ფეხბურთის მოყვარული შ. კობახიძე. იგი წინადადებას იძლევა ნორჩ ფეხბურთელთა შეჯიბრებებს მიეცეს უფრო სისტემატიზებული, ჩამოყალიბებული ხასიათი, მატჩები მოეწყოს ოსტატთა გუნდების შეხვედრების წინ, პრესამ მეტი ადგილი დაუთმოს შეჯიბრების მსვლელობას, რათა პერსპექტიული მოზარდი ფეხბურთელები ადრევე მოხვდნენ ფართო სპორტული წრეების ორბიტაში.

— თბილისის დინამოელთა შარშანდელი წარუმატებლობის ერთ-ერთი მიზეზია, — წერს ე. მელიქიშვილი (თბილისი), — ის უდისციპლინობანი, რომლებსაც ხშირად ჰქონდა ადგილი როგორც კოლექტივის ყოველდღიურ ცხოვრებაში, ისე მინდორზეც, ათეული ათასობით მაყურებლის თვალწინ. ნუთუ საქართველოს საუკეთესო გუნდი ყველაზე უფრო უწესო უნდა იყოს საკავშირო მასშტაბით? ჩვენ ხომ პირველი და შეურიგებელი მტრები ვართ მინდორზე უხეშობისა! ეს სამარცხვინო ლაქა უნდა ჩამოვირეცხოთ რაც შეიძლება მალე, წლეულსვე. ქართული ფეხბურთი მაღალტექნიკურია, მისწრაფება აქვს სილამაზისკენ, ემოციებისკენ და აი, უცებ, — უხეშობა.

წერილები, რომლითაც გულშემატკივარნი გამოეხმაურნენ ვ. მდივნის სტატიის გარშემო გამართულ კამათს, გამსჭვალულია პატრიოტიზმით ჩვენი ფეხბურთის მიმართ, ბევრ მათგანში ჩანს საქმის ცოდნა, სერიოზული ანალიზი. ასეთია თბილისელების პ. ჩხაიძის, შ. ყამარაულის, ი. ედიშერაშვილის, შ. თევდორაძის, ქუთაისელი ნ. მაღლაკელიძის, ბათუმელი გ. გოგიბერიძისა და სხვათა წერილები. ყველა მათგანის საერთო აზრია, რომ ასეთი ღია დისკუსიების გამართვა გაზეთის ფურცლებზე სასარგებლოა და მისასალმებელი.

# რომელი რისთვის?

რეპლიკა

თბილისის ქუჩებში გამოკრულმა აფიშებმა სპორტის მოყვარულთ კარგა ხნით ადრე აუწყეს, რომ 13 მარტს დელისში ჩატარდებოდა მოტოკროსში სსრ კავშირის პირადი პირველობის II ეტაპი. ქალაქის ქუჩებსა და მაღაზიებში კი ასპარეზობაზე დასასწრები ლატარიის ბილეთების გაყიდვა დაიწყო. ლატარიაში მართლაც „მაცდური“ მოგებები თამაშდებოდა — ჩეხოსლოვაკური „იავის“ ეტლიანი მოტოციკლი, ველოსიპედები, ფოტოაპარატები, საათები...

ასპარეზობა დაიწყო. თითქოს ყველაფერი რიგზე იყო, დამსწრეთ რეპროდუქტორებით გააცნეს მონაწილეთა ვინაობა, ჩემპიონატის ფორმულა, შეჯიბრების წესები, კარგად ჩატარდა ასპარეზობის გახსნა, ტურნირი, მაგრამ...

მოტოკროსი დამთავრდა და ყველაფერი აირია. არ ვიცით, შეჯიბრების ორგანიზატორებს დაავიწყდათ, არ ვიცით, ლატარიის გამთამაშებლებმა იძალეს, ეს კია, სპორტსმენები აღარავის მოჰგონებია. ათასობით გულშემატკივარი ამაოდ ელოდა საინტერესო, ვაჟკაცური ბრძოლის შედეგების გამოცხადებას, გამარჯვებულთა დაჯილდოებასა და ტურნირის ალამის ღირსეულად დაშვებას. სარბიელი დაიპყრო... ლატარიამ. დიქტორი დამტვრეული ქართულ-რუსულით აცხადებდა, ვინ რა მოიგო. ამასობაში თბილისის ეტაპის პრიზიორები კულისებს მიღმა დაუჯილდოებიათ.

ვერ გავიგეთ, ლატარია იმისთვის მოაწყვეს, რომ რაც შეიძლება მეტი მოყვარული მიეზიდათ მოტოკროსზე, თუ პირიქით! როგორც უნდა იყოს, საინტერესო ასპარეზობის ასეთი ფინალი მხოლოდ ჩრდილს აყენებს მისი ორგანიზატორების საქმიანობას.

ა. გაგლოშვილი,
მ. თირქია,
გ. ჯოგლიძე,
ვ. იაკიმენკო.

# ახალი ამბები

● **ბეირუთი, 14 მარტი.** სსრ კავშირის ჩემპიონმა მოსკოვის „ტორპედომ“ მესამე მატჩი გამართა ლიბანში. აქ იგი შეხვდა ქალაქის ფეხბურთელთა ნაკრებს. თამაში ფრედ დამთავრდა — 0:0.

● **კარლოვაცი, 14 მარტი.** პოპიჩსა და რიეკაში ჩატარებული მატჩების შემდეგ მოსკოვის „ლოკომოტივის“ ფეხბურთელები აქ შეხვდნენ ადგილობრივ გუნდს და გაიმარჯვეს — 1:0. გოლის ავტორია ორეშნიკოვი.

● **ბელგრადი, 14 მარტი.** აქ გაიმართა იუგოსლავიისა და სსრ კავშირის ახალგაზრდა მოკრივეთა სამატჩო შეხვედრა ევროპის თასზე. ანგარიშით 14:6 გაიმარჯვეს საბჭოთა მოკრივეებმა. შემდეგ კალენდარულ მატჩს საბჭოთა სპორტსმენები გამართავენ 16-17 აპრილს ვარშავაში, სადაც შეხვდებიან ადგილობრივ სპორტსმენებს.

● **პლოვდივი, 15 მარტი.** ცსკა-ს ფეხბურთელები დამარცხდნენ ადგილობრივ „ბოტევთან“ თამაშში — 0:1.

● **უმეო (შვეცია), 15 მარტი.** აქ დიდი ინტერესი გამოიწვია ნორვეგიის, ფინეთის, შვეციის, იტალიისა და გდრ-ის უძლიერესი მოთხილამურეების შეჯიბრებამ. 30 კილომეტრზე რბოლა მოიგო ბ. ანდერსონმა (შვეცია) — 1:36.09. გამარჯვებულის თანამემამულე, მსოფლიოს ექს-ჩემპიონი ა. რენლუნდი II ადგილზე გავიდა — 1:37.06. III ადგილი დაიკავა მსოფლიოს ჩემპიონმა გ. ეგენმა (ნორვეგია), რომელიც რენლუნდს 1 წამით ჩამორჩა.

● **კოპენჰაგენი, 15 მარტი. 1967 წლის საზონათშორისო ტურნირის პერსონალური ადგილის პრეტენდენტთა — ე. გელერისა და ბ. ლარსენის მატჩის III პარტია გადაიდო, ხოლო IV პარტიაში მეტოქენი სწრაფად შეთანხმდნენ ყაიმზე. ჭერჭერობით ანგარიშია 1,5:1,5.**

● **ბელგრადი, 15 მარტი.** იუგოსლავიის საჭადრაკო კავშირი და სსრ კავშირის საჭადრაკო ფედერაცია გამოსაცემად ამზადებენ ამ ორი ქვეყნის გუნდების მატჩების რჩეული პარტიების წიგნს. მასში გამოქვეყნდება 100 პარტია ტ. პეტროსიანის, მ. ბოტვინიკის, ვ. სმისლოვის, მ. ტალის, ბ. სპასკის, ს. გლიგორიჩის, ბ. ივკოვის კომენტარებით. წიგნის რედაქტორები არიან მ. იუდოვიჩი და ბ. კაჟიჩი.

● **ლონდონი, 15 მარტი.** აქ გაიმართა მაგიდის ჩოგბურთში ევროპის ჩემპიონატის მონაწილე გუნდების კენჭისყრა (შეჯიბრება ჩატარდება აპრილს ინგლისის დედაქალაქში). სსრ კავშირის ქალთა გუნდი იასპარეზებს V ჯგუფში, რომელშიც აგრეთვე შევიდნენ ბელგიისა და ავსტრიის სპორტსმენები. საბჭოთა კავშირის ვაჟთა გუნდი დანიის, შოტლანდიისა და კუნძულ ჰერნსის ჩოგბურთელებთან ერთად VII ჯგუფში მოხვდა.

# ვ. ხრინინი — ფედერაციის მთავარი მწვრთნელი

როგორც ვიუწყებოდით, სსრ კავშირის კალათბურთის ფედერაციის მთავარი მწვრთნელი ს. სპანდარიანი გაემგზავრა ჩილიში, ამ ქვეყნის ეროვნული ნაკრები გუნდის მწვრთნელად. მის ადგილზე დანიშნულია სპორტის დამსახურებული ოსტატი, ევროპის ჩემპიონი და ოლიმპიური თამაშების II პრიზიორი ვ. ხრინინი.

# ცვლილებები წყალბურთის წესებში

წყალბურთის საკავშირო ფედერაციამ ა. წ. 1 იანვრიდან რამდენიმე ცვლილება შეიტანა სპორტის ამ სახეობის თამაშის წესებში. თამაშის ხანგრძლიობა ამჟამად იქნება 28 წუთი სუფთა დრო — 7-7-წუთიანი 4 პერიოდი. პერიოდთა შორის მოეწყობა ორწუთიანი შესვენება. უფროსი ასაკის ჭაბუკთათვის თამაშის სუფთა დრო დარჩა 20 წუთი.

მეკარეს ახლა უფლება აქვს გაცუროს 4-მეტრიანი ხაზის იქით, ოღონდ ცენტრამდე. 4-მეტრიანი ზონის დატოვებისთანავე მეკარე კარგავს თავის პრივილეგიას და ემორჩილება წესებს, რომლებიც სავალდებულოა დანარჩენი მოთამაშეებისთვის.

წესების IV თავის („წესების დარღვევა და დასჯა“) იმ პუნქტში, სადაც ნათქვამია, რომ „თავისუფალი დარტყმა სრულდება წერტილიდან, სადაც მოხდა დარღვევა“, დაემატოს შემდეგი: „... იმ შემთხვევის გარდა, როცა მეკარე ეყრდნობა კარის ძელებს ან პირითი ხაზის ჯოხებს. ამ დროს თავისუფალი დარტყმა სრულდება ამ ადგილიდან 2 მეტრის დაშორებით“.



წყალბურთელთა თბილისის ტურნირის პირველ დღეს საინტერესო იყო თანაკლუბელების — ლენინგრადისა და ვოლგოგრადის სპარტაკელთა მატჩი. იგი თანაბარ, მწვავე ბრძოლაში მიმდინარეობდა. ბოლო პერიოდში ვოლგოგრადელებმა შეძლეს გამარჯვების მოპოვება, როცა გადამწყვეტი ბურთი გაიტანეს მეტოქის კარში.

• • •

სურათზე: ამ შეხვედრის მომენტი.

ფოტო მ. ზარგარიანისა.



გასულ კვირას [illegible] გაიმართა მოტოკროსში საკავშირო პირველობის II ეტაპი.

სურათზე: ფინიშისკენ ქროლვა. წინაა ოსტატობის კანდიდატი ს. ვოლკოვი (მოსკოვი).

ფოტო ა. სააკოვისა.

# შორეული გზებიდან დაბრუნებულნი...

როგორც ცნობილია, ინგლისის საფეხბურთო სტადიონებზე 17 კვირის შემდეგ აღიმართება VIII მსოფლიო ჩემპიონატის ალამი. ამ გადამწყვეტი ასპარეზობისთვის სამზადისის პირველი ეტაპი საბჭოთა ფეხბურთელებმა ლათინური ამერიკის ქვეყნებში ხანგრძლივი ტურნეთი დაამთავრეს.

— მთავარ მიზანს, რომელსაც ამ 50-დღიანი მოგზაურობისას ვისახავდით, ჩემი აზრით, მივაღწიეთ,— უთხრა საქდესის კორესპონდენტს სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის თავმჯდომარემ ნ. რიაშენცევმა. — ზამთრის შესვენების შემდეგ ნაკრების კანდიდატებმა შეძლეს ფორმის აღდგენა. ამავე დროს, ნაწილობრივ შევისწავლეთ მომავალი მეტოქეები — ბრაზილიის, არგენტინის, ურუგვაისა და ჩილის ფეხბურთელები და, რაც მთავარია, „ბრძოლის ველზე“ შევამოწმეთ ჩვენი გუნდის ყველა წევრი. მართალია, მოგზაურობის პირველ პერიოდში სიძნელეებს წავაწყდით: ჩვენს ბიჭებს ნავარაუდევი ათდღიანი საწვრთნელი ვარჯიშის ჩაუტარებლად ერთბაშად მოუხდათ ბრაზილიის პროფესიულ საკლუბო გუნდებთან ამხანაგური მატჩების ჩატარება.

მსოფლიო ჩემპიონატის IV ჯგუფის მეტოქესთან — ჩილის ფეხბურთელთა ნაკრებთან შეხვედრა დაგეგმილი არ გვქონდა. მიუხედავად ამისა, ჩვენ დავთანხმდით მის ჩატარებაზე. როგორც ცნობილია, ჩილიელებმა ვერ მოახერხეს სსრ კავშირის ნაკრებთან მატჩებში თავიანთი ფსიქოლოგიური უპირატესობის განმტკიცება. ამას მერმისისთვის უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს.

მწვრთნელებმა პრაქტიკულად ნაწილობრივ განსაზღვრეს ნაკრების ბირთვი. მაგრამ მეორე ფაქტორი— სუსტი შედეგიანობა — გვაღელვებს. თითქმის ყველა 11 თამაში (პირველის გამოკლებით — „კორინტიანსთან“) საბჭოთა ფეხბურთელების უპირატესობით აღინიშნა, მაგრამ ძალიან ცოტა გოლი იქნა გატანილი.

რამდენიმე დღის შემდეგ სსრ კავშირის ნაკრებს სამზადისის მეორე ეტაპი დაეწყება. 23 ფეხბურთელი გაემგზავრება იუგოსლავიას (ა. ბიბა დარჩება შინ, სამაგიეროდ, როგორც ჩანს, წავლენ ვ. პონედელნიკი და გ. სიჭინავა). იუგოსლავიის ერთ-ერთ საუკეთესო სპორტულ ბაზაზე ჩვენები გაივლიან საწვრთნელ მეცადინეობას და, გარდა ამისა, ხუთ ამხანაგურ შეხვედრას გამართავენ I ლიგის უძლიერეს ადგილობრივ საკლუბო გუნდებთან და, შესაძლოა, ქვეყნის ნაკრებთანაც.

20 აპრილს საბჭოთა კავშირის ნაკრები ბაზელში პირველად შეხვდება შვეიცარიის ფეხბურთელთა ეროვნულ გუნდს, რომელიც მსოფლიო ჩემპიონატის II ჯგუფის ბინადარია. 24 აპრილს საბჭოთა ფეხბურთელები ვენაში ეთამაშებიან ავსტრიის ნაკრებს, რომელთანაც, კენჰისყრის ძალით, გაისად ერთ წინასწარ ჯგუფში მოუწევთ ასპარეზობა ევროპის პირველობაზე.

27 და 29 აპრილს საბჭოთა კავშირის ნაკრები შეხვდება ავსტრიის საკლუბო გუნდებს და დაბრუნდება სამშობლოში. შემდეგ მატჩს ინგლისში გამგზავრების კანდიდატები ჩაატარებენ 22 მაისს ბრიუსელში ბელგიის ნაკრებთან, ხოლო 5 ივნისს მოსკოვში დაიჭერენ გამოცდას საფრანგეთის ნაკრებთან შეხვედრაში.

### „სუსტი შედეგიანობა გვაღელვებს“

### ...ვ. პონედელნიკი და გ. სიჭინავა




## „ინტერის“ 7 გოლი

იტალიის ჩემპიონმა და გათამაშების ლიდერმა „ინტერნაციონალემ“ კვირას საკუთარ მინდორზე მორიგი გამარჯვება მოიპოვა. ამჯერად მისი „მსხვერპლი“ გახლდათ I ლიგის დებიუტანტი „ბრეშია“.

პირველივე წუთზე მილანელმა დომენგინიმ ანგარიში გახსნა —1:0. შემდეგ იმავე დომენგინიმ მეორე ბურთი გაიტანა, ხოლო ჟაირმა — მესამე.

მეორე ნახევრის დასაწყისშივე „ინტერმა“ სხვაობა გაზარდა და 49-ე წუთზე მრავალსვლიანი კომბინაცია გოლით დააგვირგვინა მაცოლამ — 4 : 0. 53-ე წუთზე ფაკეტიმ ბურთი გაითამაშა სუარესთან, შეიჭრა „ბრეშიას“ საჯარიმო მოედანში და ანგარიში გახადა 5:0. 81-ე წუთზე მაცოლამ გაიტანა პენალტი (ეს მისი მე-17 გოლია) — 6 : 0. ფინალურ სასტვენამდე „ინტერმა“ ანგარიში კიდევ გაზარდა — 7 : 0!

ნეაპოლში „ნაპოლიმ“ შეუპოვარი ბრძოლის შემდეგ შეძლო „რომას“ დამარცხება — 1 : 0. გენუაში ადგილობრივმა „სამპდორიამ“ წააგო „ფიორენტინასთან“ — 0 : 3. ფლორენციელთა 2 გოლის ავტორია ჰამრინი.

დანარჩენი მატჩების შედეგები ასეთია: „ბოლონია“ — „კატანია“ 2 : 0, „კალიარი“ — „მილანი“ 1 : 2, „ფოჯა“ — „ტორინო“ 0 : 0, „იუვენტუსი“ — „სპალი“ 3 : 0, „ლანეროსი“ — „ვარეზე“ 1 : 0, „ლაციო“ — „ატალანტა“ 0:1.

ლიდერთა სამეული ასე გამოიყურება:

| | თ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|
| „ინტერნაციონალე“ | 25 | 54:18 | 38 |
| „ნაპოლი“ | 25 | 33:18 | 34 |
| „ბოლონია“ | 25 | 46:28 | 34 |

(საქ. ინფ.).

## დი სტეფანოს გამოსათხოვარი მატჩი

დი სტეფანო, რომელიც ახლა 40 წლისაა, მიმდინარე სეზონის დამთავრების შემდეგ თავს ანებებს თამაშს. ამასთან დაკავშირებით მას გაცილებას უწყობენ კლუბები „რეალი“ და „ესპანიოლი“. ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ ეს კლუბები მადრიდის „სანტიაგო ბერნაბეუს“ სტადიონზე ხვდებიან ერთმანეთს და მატჩის მთელ შემოსავალს დი სტეფანოს გადასცემენ.

გამოცხადდა, რომ პირველ ტაიმში დი სტეფანო „რეალის“ შემადგენლობაში გამოვა, მეორე ტაიმში კი — „ესპანიოლში“. ივლისში დი სტეფანო ინგლისს გაემგზავრება, სადაც არგენტინის დეპეშათა სააგენტოს მიმომხილველად მოგვევლინება მსოფლიო ჩემპიონატის თამაშებზე.



# ნახტომი 146 მეტრი

ოსლო. 15 მარტი. ნორვეგიელმა „მფრინავმა მოთხილამურემ“ ბიერნ ვირკოლამ, რომელიც ბრწყინვალედ გამოვიდა ჰოლმენკოლენის ამასწინანდელ მსოფლიო ჩემპიონატში, ახალი ტრამპლინის „ვიკერსტუნდ-ჰილის“ გახსნა 146-მეტრიანი ნახტომით აღნიშნა! ჩრდილოეთ ნორვეგიის ქალაქ ალტას სახომალდო კომპანიის მოსამსახურემ, 22 წლის ვირკოლამ ახალი მსოფლიო რეკორდი დაამყარა თხილამურებით ხტომაში.

შესანიშნავი სპორტსმენის შედეგი 1 მეტრით აღემატება პ. ლესერის (გდრ) შარშან დამყარებულ მსოფლიო რეკორდს.

### ჩრდილოეთი, სამხრეთი, აღმოსავლეთი, დასავლეთი...

▲ **რომი.** ევროპის ჩემპიონი მჩატე წონის პროფესიონალ მოკრივეთა შორის გახდა ინგლისელი უინსტონი, რომელმაც ქულებით დაამარცხა იტალიელი სილანოსი.

▲ **ლონდონი.** ოფიციალურ ფილმს ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატის შესახებ გადაიღებს ერთ-ერთი ფრანგული ფირმა. ფინალური და ნახევარფინალური მატჩები გადაიღება ფერად ფირზე, ხოლო დანარჩენი თამაშები — ჩვეულებრივ შავთეთრზე.

▲ **სანტ-იაგო.** კალათბურთში მსოფლიო თასის გათამაშებაში მონაწილეობის სურვილი განაცხადეს სსრ კავშირის, ბულგარეთის, იუგოსლავიის, პუერტო-რიკოს, ბრაზილიის, ესპანეთის, აშშ-ის, პანამის, არგენტინის, ურუგვაისა და ჩილის გუნდებმა. ტურნირი გაიმართება 16-30 აპრილს.

▲ **ჰავანა.** აქ გაიმართა კუბისა და გდრ-ის კალათბურთელ ვაჟთა ნაკრები გუნდების შეხვედრა. გაიმარჯვეს გერმანელებმა—57:52.

▲ **სტოკჰოლმი.** შვეციის თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა ნაკრებმა დაამარცხა გფრ-ის ეროვნული გუნდი — 4,5:3,5.

▲ **ვარბერგი** (შვეცია). საინტერესო ბრძოლით აღინიშნა იაპონიისა და შვეციის მაგიდის ჩოგბურთელთა პირადი ტურნირი. ქალთა შორის ყველას აჯობა იაპონელმა ნ. ფუკაზუმ, ვაჟებში — ევროპის ჩემპიონმა ჩ. იუჰანსონმა (შვეცია).

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

### თბილისის სპორტულ ბაზებზე

**ჭადრაკი.** ცენტრალური საჭადრაკო კლუბი (რუსთაველის პრ. № 48). **16-21 მარტი. თბილისის ქალთა ჩემპიონატის ფინალი. 16 მარტი-10 აპრილი. საქართველოს ვაჟთა ჩემპიონატი. 11 ტური.** დასაწყისი 17 ს.

**წყალბურთი.** ზამთრის რესპუბლიკური აუზი (ი. ჭავჭავაძის პრ. № 49). **ამხანაგური მატჩები „ა“ კლასის გუნდებს შორის.** დღეს ერთმანეთს ხვდებიან: **„დინამო“ I (თბილისი) — „სპარტაკი“ (ვოლგოგრადი), თბილისის „დინამო“ (ოსტატები) — „სპარტაკი“ (ლენინგრადი).** დასაწყისი 18 ს. 30 წ.

**მაგიდის ჩოგბურთი.** სპორტკლუბ „სინათლის“ სპორტდარბაზი (ტელმანის ქ. № 8). **16-18 მარტი. თბილისის პირადი პირველობა იუნიორთა შორის.** დასაწყისი 15 ს.

ИНДЕКС 66448 საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 05879.